ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ 2020 წლის 25 ივნისი

სხდომის ოქმი №2

ქ. ახალციხე 2020 წელი, 25 ივნისი

სხდომას ესწრებოდნენ:

ზაზა მელიქიძე ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი

გურამი მელიქიძე ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. თენგიზ ხითარიშვილი
2. მალხაზ მანველიშვილი
3. ნინო ლომიძე
4. ელენა ბეგიაშვილი
5. ზაზა ივანიძე
6. ასთხიკ სარქისიანი
7. ვასილ კვინცხაძე
8. ომარ ჯაყელი
9. შალვა ტაბატაძე
10. ციური ლაფაჩი
11. გიორგი ბუცხრიკიძე
12. გივი კაპანაძე
13. ნუგზარ თათეშვილი
14. სუსანა აკოფოვა
15. ოგანეს უსტიან

სხდომას არ ესწრებოდნენ „ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ნინო რუხაძე
2. თამარ კაპანაძე
3. პოღოს მაგაკიანი
4. დოდო ბერიძე
5. მაკა ბერიძე
6. ბელა ავალიშვილი
7. მერაბ ბერიძე
8. გიორგი ანდღულაძე
9. ცირა მესხიშვილი
10. ვალიკო ბალიაშვილი
11. ჭიჭიკო გელაშვილი
12. ამალია სარქისიან
13. აშოთ კავალერიან
14. მარეხი ყურმაშვილი

დღის წესრიგი

1. **დაგეგმილი და მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია;**
2. **საბჭოს წევრების რეკომენდაციებისა და იდეების გაცნობა;**

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი ზაზა მელიქიძე „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრებს მიესალმა და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები გააცნო.

მან დეტალურად ისაუბრა მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაგეგმილ და მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. მათ შორის გზების, სასმელი წყლის სისტემების, სანიაღვრე არხების, საცხოვრებელი კორპუსების გარე ფასადებისა და სადარბაზოების, სპორტული მოედნებისა და სკვერების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე, ასევე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ სამუშაოებზე და სხვა. აღინიშნა, რომ ინფრასტრუქტურული სამუშაოები შესაბამისი რეგულაციების დაცვით აქტიურად მიმდინარეობს.

მერმა საბჭოს წევრებს დეტალურად გააცნო საგზაო სარეაბილიტაციო პროექტები, როგორც ქალაქ ახალციხეში ისე მუნიციპალიტეტის სოფლებში მიმდინარე წელს ხორციელდება 14 მასშტაბური პროექტი. აღინიშნა რომ, სამუშაოები კორონავირუსის პანდემიის გამო, ჯანდაცვის სამინისტროს შემუშავებული რეკომენდაციების დაცვით მიმდინარეობს. კერძოდ, 9 აპრილის ქუჩაზე კაპიტალურად კეთილმოეწყობა გზის 650 მეტრიანი მონაკვეთი, მოწესრიგდება სამანქანო გზა და საფეხმავლო ბილიკები; შოთა რუსთაველის ქუჩაზე სამანქანო გზის გზის 700 მეტრიან მონაკვეთზე დაიგება ასფალტის საფარი, ხოლო 1100 მეტრიან მონაკვეთზე მოეწყობა საფეხმავლო ბილიკი, ეწყობა საყრდენი კედლები და ღობეები; ხორციელდება მერაბ კოსტავას, ჯაყელის, საფარის, ასპინძის ქუჩებზე და ახალქალაქის გზატკეცილის მიმდებარედ არსებული ჩიხების რეაბილიტაცია; საფეხმავლო ბილიკები და მიმდებარე ინფრასტრუქტურა მოეწყობა პაატა ნათენაძის, შალვა ახალციხელის, მერაბ კოსტავას და ზურაბ დიდიმამიშვილის ქუჩებზე. მოწესრიგდება თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ძეგლებთან არსებული სკვერები;

მერის განმარტებით, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ასევე, სოფლებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაციას. მიმდინარე წელს ეწყობა სოფელ ანდრიაწმინდის საავტომობილო გზა (1700 მეტრი), სოფლების აწყური-ტყემლანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა (1900 მეტრი), სოფლების წყრუთი-წირას დამაკავშირებელი საავტომობილო გზა (1300 მეტრი), სოფლების გიორგიწმინდის და მუგარეთის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა (1400 მეტრი); ვალეში, ე.წ. მეორე შახტის დასახლებაში საავტომობილო გზის 1 კილომეტრიანი მონაკვეთი;

ქალაქის იერ-სახისა და საცხოვრებელი გარემოს მოწესრიგების მიზნით, რუსთაველისა და ასპინძის ქუჩებზე მიმდინარეობს მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების გარე ფასადების და სადარბაზოების რეაბილიტაცია. მიმდინარე წელს ქალაქ ახალციხეში 6 მრავალსართულიანი კორპუსის ფასადი და სადარბაზოები მოწესრიგდება.

სამუშაოები გრძელდება ქალაქის №1 საბავშვო ბაღში. მიმდინარე წელს დასრულდება საბავშვო ბაღის შენობისა და ეზოს კეთილმოწყობა, სადაც ახალი სასწავლო წლიდან 120 აღსაზრდელი შეძლებს სკოლამდელი აღზრდის უნარ-ჩვევების მიღებას.

მერმა საბჭოს წევრებს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში" განსახორციელებელი სამუშაოები გააცნო. ისაუბრა ასევე, წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილ სამუშაოებზე, მისი თქმით, მიმდინარე წელსაც გაგრძელდება ახალი გარე განათებების სისტემების მოწყობა, როგორც ქალაქ ახალციხეში, ისე მუნიციპალიტეტის სოფლებში და სხვა.

„სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს' წევრებმა წარმოდგენილი პროექტები მოიწონეს, გამოთქვეს მოსაზრებები და მერს თავიანთი იდეები გააცნეს.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ქალაქ ახალციხეში, ცენტრალურ ქუჩებზე მიმდინარე სამუშაოებზე. ვასილ კვინცხაძის განცხადებით მისასალმებელია, რომ კაპიტალურად მოეწყობა, როგორც სამანქანო გზები, ისე საფეხმავლო ბილიკები, რაც ფეხით მოსიარულეთათვის გადაადგილებას სასიამოვნოს და კომფორტულს გახდის. მისი თქმით ეს ხელს შეუწყობს ქალაქში სისუფთავის შენაჩუნებასაც.

ომარ ჯაყელმა ისაუბრა თამარაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაციაზე, მან დადებითად შეაფასა აღნიშნული სამუშაოები. მერის განმარტებით წლის ბოლომდე ქალაქის მასშტაბით, რუსთაველისა და თამარაშვილის ქუჩებზე 3 სანიაღვრე არხი ეწყობა, რის შედეგადაც მიმდებარე დასახლებებში წლების მანძილზე არსებული პრობლემები სრულად მოგვარდება.

შეხვედრის დასასრულს ისაუბრეს მერიისა და ა(ა)იპ „სათნოების სახლის" მიერ პანდემიის პერიოდში განხორციელებული პრევენციული ღონისძიებებისა და შეჭირვებული ოჯახებისათვის საკვები პროდუქტითა და ჰიგიენური საშუალებების სახით გაწეული დახმარებების შესახებ. მუნიციპალიტეტის მერმა ზაზა მელიქიძემ განსაკუთრებით დადებითად შეაფასა აღნიშნულ პროცესში ბიზნესსექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანადგომა და მხარდაჭერა.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1 ნინო რუხაძე _____

2 თენგიზ ხითარიშვილი _____

3 მალხაზ მანველიშვილი _____

4 ნინო ლომიძე _____

5 ელენა ბეგიაშვილი _____

6 თამარ კაპანაძე _____

7 ზაზა ივანიძე _____

8 პოღოს მაგაკიანი _____

9 ასთხიკ სარქისიანი _____

10 დოდო ბერიძე _____

11 მაკა ბერიძე _____

12 ვასილ კვინცხაძე _____

13 ომარ ჯაყელი _____

14 შალვა ტაბატაძე _____

15 ციური ლაფაჩი _____

16 გიორგი ბუცხრიკიძე _____

17 ბელა ავალიშვილი _____

18 მერაბ ბერიძე _____

19 გივი კაპანაძე _____

20 გიორგი ანდღულაძე _____

21 ცირა მესხიშვილი _____

22 ნუგზარ თათეშვილი _____

23 ვალიკო ბალიაშვილი _____

24 ჭიჭიკო გელაშვილი _____

25 სუსანა აკოფოვა _____

26 ოგანეს უსტიან _____

27 ამალია სარქისიან _____

28 აშოთ კავალერიან _____

29 მარეხი ყურმაშვილი _____